შპს „ვარკეთილაირი“
0190, თბილისი,
ვარკეთილი 3,
III მ/რ, რ. დვალის ქ. № 3

ვარკეთილაირი

"VARKETILAIRI" LTD
0190, Tbilisi, Varketili 3,
III m/r , r.dvali st. #3

ტ.227 50 40, 227 50 30.
varketilairi@gmail.com

T .227 50 40, 227 50 30.
varketilairi@gmail.com

№ 111

07.10. 2024 წ.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სააგენტოს უფროსს
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

თქვენი წერილის (№ 6/55857; 26/09/2024 წ) პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

თქვენ მიერ ქ. თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 2626 $მ^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ: 81.08.26.721) იჯარა/პრივატიზირების საკითხთან დაკავშირებით შპს „ვარკეთილაირს“ აქვს ასეთი პოზიცია:

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთხსენებულ ნაკვეთზე გადის შპს „ვარკეთილაირის“ საკუთრებაში არსებული ხაზოვანი ნაგებობა (ს/კ: 81.00.168) d= 200 მმ საშუალო წნევის მაგისტრალური გაზსადენი, რომლითაც მარაგდება 18 000-მდე აბონენტი, ნაკვეთზე ახალი მოიჯარე/მესაკუთრის მიერ დაწყებული ნებისმიერი მშენებლობა გამოიწვევს გაზსადენის გადატანის საჭიროებას.

ჩვენი პოზიციაა, რომ „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მომავალი მოიჯარე/მესაკუთრის ვალდებულებაში შევიდეს ხაზოვანი ნაგებობის პროექტში ცვლილებების შეტანა, რომელიც უნდა შეთანხმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან და, ამასთანავე, ახალმა მოიჯარე/მესაკუთრემ უნდა გაიღოს მაგისტრალის გადატანასთან დაკავშირებული ყველა სამშენებლო ხარჯი, როგორც ეს საქართველოს კანონმდებლობით არის გათვალისწინებული.

პატივისცემით,

შპს „ვარკეთილაირის“
აღმასრულებელი დირექტორი ნ. მღვ ნუგზარ მღვდელაძე

შპს "ვარკეთილაირი" ვარკეთილაირი 206149522 "Varketiliairi" LTD

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
შემოსვლის № 133598/04
"08" 10 2024
01
შემოსული